საყოველთაო ჯანდაცვის ამბულატორიული სერვისით მოსარგებლეთა კმაყოფილების ხარისხის შეფასება

მირანდა დემურია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების (სადაზღვევო საქმე) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სადაზღვევო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მირანდა დემურია

ხელმოწერა

თარიღი

აბსტრაქტი

საქრთველოში 2013 წლის 28 თებერვლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომელმაც მოიცვა ამ კონკრეტული თარიღისათვის დაზღვევის არმქონე მთელი მოსახლეობა, განურჩევლად სქესის, ასაკის და სოციალური მდგომარეობის. №36 დადგენილების საფუძველზე მოსარგებლეებს მიეცათ საშუალება თანაგადახდით ან საფასურის გადახდის გარეშე, შეუზღუდავად მიიღონ სრულყოფილი სამედიცინო მომსახურება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მათთვის სასურველ, სერვისის მიმწოდებელ ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში.

ბუნებრივია სახელმწიფოსთვის ჯანდაცვის სისტემის პრიორიტეტულობა და ამ მიმართულებით ინვესტირების გაზრდა მოითხოვს უკუგებას ბენეფიციართა კმაყოფილებით. აღნიშნულის გამოსარკვევად გამოიკითხა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის №36 დადგენილების ის მოსარგებლეები, რომლებმაც ერთხელ მაინც ისარგებლეს ამბულატორიული მომსახურებით.

ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს რომ მოსარგებლეთა ზოგადი კმაყოფილება მიღებული ამბულატორიული მომსახურების მიმართ არც ისე მაღალია, ხოლო მოსარგებლეთა ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებელი, სასურველი სერვისის მიღებამდე სამედიცინო დაწესებულებაში დაყოვნების ხანგრძლოვობა, მკურნალობის საჭიროების არასაკმარისი ახსნა - წარმოადგენს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის პრობლემურ მახასიათებლებს და მოითხოვს გამოსწორებას.

Abstract

The text of the abstract in English

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

Key Words: _____ , _____, _____.

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, მედიცინის აკადემიურ დოქტორს, ჯანდაცვისა და დაზღვევის სკოლის დირექტორს, ბატონ თენგიზ ვერულავას და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“ დოქტორანტს, მაგდა ასათიანს, რომლებმაც გამიწიეს დახმარება ყველა ჩემთვის საჭირო საკითხში და ჩემს მიერ დასმულ კითხვებზე ამომწურავად გამცეს პასუხი.

აგრეთვე მადლობას ვუხდი იმ პირებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩემს კვლევაში და გახადეს ის სარწმუნო და საინტერესო.